წ. I 1915 წ. შაბათი 14 მარტი

# სამშობლო

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ც ა ლ კ ე ნ უ მ ე რ ი ე რ თ ი შ ა უ რ ი. დამატებით 7 კაპ. წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მ., დანარჩენი [illegible]
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მან.

№ 35 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 35

„სამშობლო დედის ძუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა“.

ამიერიდან ქ. ქუთაისში გამოდის ახალი საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

„სამშობლო“

ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით

გაზეთი ღირს:

ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი.
ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი—7 კ.
ადრესით. ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო“.
ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.

ქალაქის თეატრი

სადღესასწაულო რეპერტუარი.

ქართველ მსახიობთა ამხანაგობის მიერ ორშაბათს, 23 მარტს, წარმოდგ. იქნება

ჰამლეტი

ტრაგედია შექსპირისა. ჰამლეტის როლს შეასრ. ვ. ზარდალიშვილი.

ოთხშაბათს, 25 მარტს პირველად ახალი პიესა ჰაუპტმანისა

დაძირული ზარი

ხუთშაბათს, 26 მარტს, ყაჩაღები ტრაგედია შილლერისა.

ბილეთები ყველა გამოცხადებულ წარმოდგ. დღეიდან იყიდება მხოლოდ თეატრის კასაში, რომელიც ღიაა დილის 11 საათ. 3-ს ნახევრამდის და საღამოს 5—8 საათ.
დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი კ. ანდრონიკაშვილი.
ადმინისტრატორი ვასო ურუშაძე. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.

ამით, ვაცხადებ, რომ ჩემი თხზულების მეორე ტომის გამოცემა სხვა და სხვა მიზეზის გამო შეჩერებულია. იმედი მაქვს ახლო მომავალში გამოცემას შევუდგები. აპოლონ ცინცაძისაგან გაცემული კვიტანციების პატრონები ჩემგან მიიღებენ წიგნს.

ია ეკალაძე.

ყოველი მეაბრეშუმესათვის ცნობილი ფირმის

ძმათა პასხალიდის

აბრეშუმის თესლი უკვე მიღებულია და იყიდება ქუთაისში ნიკიფორე მ. ჯანელიძის მაღაზიაში; ბათომსა და ჭიათურაში მ. ს. მანუილიდის კანტორაში და ახალსენაკში ილია იაკიმიდის მაღაზიაში ხელსაყრელ ფასათ. მსურველს შეუძლიან დაიკვეთოს რამდენიც სჭირდება დროზე. თ. 69.

დაიბეჭდა და თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიას მოუვიდა გასაყიდათ ნ. ს. ჟორჟიკიას შემდეგი რუსული წიგნი:

„Критика психологической теоріи права“
Проф. Л. I. Петрожецкаго. ფასი 6 შაური თ.

გამოვიდა და იყიდება
ქუთაისის ყველა წიგნის მაღაზიაში
თხზულებანი ჯაჯუ ჟორჟიკიასი.
ფასი 60 კაპ. წ.

უდიდესი სპეციალური წიგნის მაღაზია

პ. ი. ოცხელის და ამხ. ქუთაისში

ალექსანდრეს ქუჩა, თფილ. კომერც. ბანკის ქვეშ.

პ. ი. ოცხელისა და ამხ. წიგნის მაღაზიაში მოიპოვება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი: ბელეტრისტული, პედაგოგიური, იურიდიული, საბავშო და მრავალი სხვა. აგრეთვე კალენდრები 1915 წლის: ჯიბის, კედლის, იურიდიული, საექიმო და სხვა. ატლასები, თვალსაჩინო სურათები. გეოგრაფიული ქარტები, მათ შორის ომის ქარტები დაწყებული 6 მანეთიდან ვიდრე 3 შაურამდი გვერდით გამართულია ცნობილი საკანცელარიო მაღაზია დ. ი. ოცხელისა, სადაც მოიპოვება ყველანაირი სამოსწავლო საკანცელარიო ნივთები.

კატალოგები უფასოთ თ.

კბილის მენალარიშრილი და ტრუფაექიმები. ნოვა. დროებით ბათომიდან გადმოვიდენ ქ. ქუთაისში. თფილისის ქუჩა, სახლი ბახტაძისა, ფირალოვის თუთუნის ფაბრიკის გვერდში. ავათმყოფებს ღებულობენ დილის 9—1 და საღამოს 4—6. არჩენენ ავათმყოფობას კბილებისა და ღრძილებისას. აკეთებენ ხელოვნურ კბილებს: კაუჩუკზე, ოქროზე და ალუმინზე. ღრძილების ავათმყოფობას არჩენენ რამდენიმე სეანსზე ახალი ხაშუალებით. თ.

ექიმი გაბრიელ იოს. გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი. შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 9—8 საათ. ალექსანდრეს ქუჩა, საკუთარი სახლი.

ექიმი ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი. განაახლა კანის, ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალბეგოვის სახლში. (თ.)

ბებია მ. მ. კოხრეიძე უცრის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.
ალექსანდროვის ქუჩა, სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

სტუდენტი

ვარლამ ფერაძე (9 წლის პრაქტიკით)

ამზადებ და ასწორებს გაკვეთილებს ყველა კლასების მოწაფეებს ყველა საგანში. (სპეც.: რუსული, ლათინური, მათემატიკა და ფიზიკა). შედგა ჯგუფები სხვადასხვა კლასისათვის, აფთიაქის მოწაფეების, ჩინზე, სიმწიფ. მოწმობ. და სხვა.
მისამართი: ჰავჰავაძის ქუჩა, ციხის იქით, იკითხეთ დეჟავას მაღაზიაში დევიძის სახლი.

14—2

## ქუთაისი, 14 მარტი.

არ შეგვიძლია ერთხელ კიდევ არ დავსტამბოთ პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს ის დეპეშა, რომელიც მან გამოაქვეყნა ქართველების შესახებ

გასაბათილებლად

და რომელიც, გუშინდელ ჩვენს გაზეთში სხვა დეპეშათა შორის მოთავსებული, შეიძლება ბევრისათვის უყურადღებოთ დარჩა.

პეტროგრადის საგენტომ მხოლოდ ექვსი დღის შემდეგ,

გამოგვიცხადა:

პეტროგრადი. 10 მარტი. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტომ გამოაქვეყნა 4 მარტს დეპეშა მიღებული სევასტოპოლიდან. ამ დეპეშაში გადმოცემული იყო გერმანელ ემისარის მოხსენება ვიწედან. დეპეშის გამოქვეყნების დროს სააგენტო ჰფიქრობდა, რომ ყველასათვის ცხადია, თუ რა მხრით არის საინტერესო ამ მოხსენებაში მოყვანილი ცნობები: იგი საინტერესოა როგორც ნიმუში გერმანელების დიპლომატიის მიერ ნახმარ საშუალებისა, რომელიც ცდილობს ყველგან არეულობა და შფოთი ჩამოაგდოს. ქართველ ხალხის მხურვალე პატრიოტიზმის წყალობით გერმანელებს ანგარიში გაუმტყუნდათ და ცხოვრებამ ბრწყინვალედ გააქარწყლა მათი იმედები. ამ მოსაზრებით პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს საჭიროდ არ მიაჩნდა რაიმე შენიშვნა გაეკეთებია დეპეშისთვის, როდა გამოაქვეყნა.

# პრესა.

ჩარხი უკუღმა დატრიალდა! თვით „გოლოს კავკაზაც“-კი, რომელიც დაბადებიდან, იხილა თუ არა დღის სინათლე, სიბერემდი, ქართველების ლანძღვის მეტი არა გაუკეთებია რა—ასეთ აზრს გამოსთქვამს გერმანიის ემისარის დეპეშის შესახებ.

„სევასტოპოლის დეპეშამ, შესახებ იმისა, ვითომ ქართველები მზად არიან შეუერთდენ ოსმალებს და მიიღონ მათი დესანტი გერმანიის აფიცერთა წინამძღოლობით ნატანების მახლობლად, აღელვა ქართველი საზოგადოება და სამართლიანი გულის წყრომა გამოიწვია მათში.

თავის დროზე ადგილს მივცემთ გამოსთქვას თავისი შთაბეჭდილებანი ქართველებზე რუსს შორაპნის მაზრის მომრიგებელ შუამავლის ფ. ა. ვენეცკის; ახლა კი მოვიყვანთ მხოლოდ მის კერძო წერილს შესახებ სულიერ განწყობილებისა ქართველ ხალხში: „უნდა აღვიარო, რომ სულიერი განწყობილება ქართველებში არაჩვეულებრივ კარგია. 15 იანვრიდან 15 თებერვლამდე, როგორც თავმჯდომარე სამხედრო საკრებულოსი, თვალს ვადევნებდი 1915 წ. გაყვანილ ახალგაზრდა ჯარისკაცთა ყოფაქცევას. საოცარი იყო მათი სურვილი ომში წასვლისა. იყო მაგალითი,—ავადმყოფებმა განაცხადეს: სრულიად ჯანსაღათა ვართ, ომში გაგვგზავნეთო. პირველ ხარისხის შეღავათიანებმა (льгота 1 разр.) (ერთად ერთი შვილი ოჯახში) უარი განაცხადეს თავის უფლებებზე და მოისურვეს ჯარში წასვლა. ჩვენც წავიყვანეთ. ასეთი მაგალითები კი,—ექიმი ეკითხება ყმაწვილს,—ავად ხომ არ ხარ? —ისიც უპასუხებს,—კრაკოვზე უფრო ყოჩაღათა ვარო—ხომ ყოველ ნაბიჯზე გხვდება. მაგალითად, ასეთი შემთხვევა: ჯარისკაცმა მიიღო ბილეთი; ნუმერი, შეერია თავის ამხანაგებში და თანაც რაღაცას ბუტბუტებს. ბოქაულს ვეკითხები, — რას ლაპარაკობს - მეთქი. „მოითხოვს, ბარემ ჩქარა მისცეთ თოფი... გერმანიას გავანადგურებო—ამბობს“. აი, ასეთი სული სუფევდა სულ ბოლომდე. ხალხში ასეთი განწყობილება თავდებია იმისი, რომ უსათუოთ დავამარცხებთ მტერს. ხალხის არაჩვეულებრივ გმირობას, ეჭვი არ არის ხელს უწყობს და აცხოველებს მომქმედ ჯართა სიმამაცე და გამარჯვების იმედი. თითქმის მუდამ დღე მოუდის ხოლმე წერილები მშობლებს მეომრებისაგან. ჯარისკაცები ბრძანების კილოთი სწერენ მშობლებს,—არ მოიწყინონ და არ იდარდონ. ერთი ასეთი წერილი მეც წამიკითხეს. ჯარისკაცი ავსტრიის საზღვრებიდან იწერებოდა: „არ გაბედოთ და ჩვენთვის არ იდარდოთ! (რამდენიმე ძმები არიან ომში). ჩვენ აქ კარგათა ვართ. დაწყებული რაზმის უფროსიდან, — ყველანი ისე ვცხოვრობთ, როგორც ძმები. თუ იდარდეთ, იცოდეთ, დავბრუნდები და გაგიჯავრდები“. აი, ხედავთ! ის დაბრუნდება!.. ახლა ის კარპატს იქიდან იწერება... სჩანს, მასა სწამს, რაკი კარპატს გასცილდა, ვენაშიაც მალე მივა და იქიდან გამარჯვებული გმირი სახლშიაც დაბრუნდება ჯარში ასეთი სულიერი განწყობილება ცხადია, მოქმედობს სოფლელებზედაც და იგი დღითიდღე იზრდება. ამჟამათ საქართველოში არსებობს, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაღაც ომის ფსიხოზი. დღეს საკრებულოში ვიჯექ და ვმეცადინეობდი. შემოვიდა ერთი მოხუცი 75 წლისა, მაღალი, გრძელი, იმერული წვერით და დამიწყო ლაპარაკი. ამიხსნეს, რომ ის მოსულა შორეულისოფლიდან, გიგოს,—მის ვაჟს წაიყვანენ თუ არა ჯარში. ოთხი შვილი უკვე ომში ჰყავს, დარჩა ერთი და იმასაც ახლა უწევს კენჭი. სერიოზულად ვეკითხები: ყმაწვილი ავათმყოფი ხომ არ არის მეთქი. (მის ვაჟს პირველი ხარისხის შეღავათი აქვს და ჯარში არ გაიყვანენ.) აბა, სრულიად კარგად არის! მიპასუხა მან. რა თქმა უნდა წაიყვანენ—ვეუბნები. „მაშ მეც ომში მივ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დღეს რა მოხდა.

**რუსეთ ავსტრო-გერმანიის ასპარეზი.**

კარპატებში რუსის ჯარი შეტევებს აფართოებს.

ლუპკოვის მთაგრეხილის რაიონში რუსის ჯარმა ავსტრიელებს მთავარი პოზიცია წაართვა.

ავსტრიელებს ჯგუფური იერიშები მიაქვთ რუსის ჯარზე.

**დასავლეთის ასპარეზი.**

ნეტრდამდელორეტთან გერმანელებს უნაყოფო იერიშები მიაქვთ ფრანგების ჯარზე.

იზერის მარცხენა ნაპირზე ფრანგების ჯარმა გერმანელების პირველი ორი ხაზი თხრილებისა დაიკავეს.

**იტალია.**

ჯარის მობილიზაცია დაიწყო.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

ალაშქერთის ველზე, 10 მარტს, ოსმალებმა იერიში მიიტანეს რუსის ჯარზე, მაგრამ დამარცხდენ. დანარჩენ რაიონებში კერძო შეტაკებები ხდება.

მოკავშირეთა ფლოტი სრუტეში შევიდა და ქსეროსის ნავსადგურზე ჯარის გადასხმას შეუდგა.

კონსტანტინეპოლში მცხოვრებლები დიდ შიშსა და გაჭირვებას განიცდიან.

---

დივარ!.. სთქვა მან.“ სად შეგიძლია, მოხუცს ომში წასვლა, საზღვარზე მისვლამდის გაიხრწნები-მეთქი. წარმოიდგინეთ—იწყინა. მთხოვა—წავყოლოდი მის სოფელში და მეკითხნა მის მეზობლებისათვის და ისინი დამიმტკიცებდნენ, რომ იმსთანათ თოფს ვერავინ ისვრის და ისეთი ღონიერიც, არის რომ ორი ახალგაზდა არ ეყოფა. წინადადება მივეცით, თხოვნა შემოეტანა რომ ომში წასვლა სურს. დათანხმდა და აღმითქვა,—ერთი კვირის შემდეგ თხოვნასაც შემოიტანო, მაგრამ დავამშვიდე, რომ მის შვილს შეღავათი აქვს და ჯარში არ წაიყვანენ. „მაშ ღდარც მე მივდივარ ომშიო, მითხრა და წავიდა. აი, რა ხდება ჩვენში! მჯერა, როცა ასეთი აღტყინება არსებობს ხალხში და ჯარში,—არ შეიძლება არ დავამარცხოთ მტერი. ასეთი აღტყინებაა არა მარტო გლეხებში,—თავად-აზნაურობაშიაც“.

მკითხველო, დამეთანხმე, რომ სევასტოპოლის პრავაკატორული დეპეშის შთაბეჭდილება სრულიად ქარწყლდება ამ ნამდვილ ამონაგლეჯ სურათით. უნდა გვახსოვდეს, რომ ქართველებს აქვთ თავისი ტერიტორია, რომელიც შეადგენს განუყოფელს ნაწილს დიდის რუსეთისას, მაშასადამე, აქვთ თავისი სამშობლო. კარგათ არიან თუ ცუდათ რუსეთში—მაინც გასაქცევი გზა არა აქვთ, გზაც რომ ჰქონდესთ, მაინც არასდ გაიქცეოდნენ. რუსები და ქართველები ისე მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი, რომ ქართველების რუსეთთან განმარტოება წარმოუდგენელია. ამიტომაც ქართველებიც ისეთივე მოქალაქეები არიან რუსეთის იმპერიაში, როგორც თვით რუსები.

აი, რატომ მოექცენ სევასტოპოლის დეპეშს რუსები ისე, თითქოს დეპეშაში ქართველების მიერ რუსებზე ყოფილიყო ლაპარაკი“. საკვირველ არიან უფალო საქმენი შენნი.

ამ დღესაც მოვესწარით!.

* * *

სევასტოპოლის დეპეშის შესახებ „რუს. სლ.“ კორესპონდენტს უბაასნია მეფის მოადგილის თანაშემწესთან გოფმ. პეტერსონთან. გოფმ. პეტერსონს უთქვამს:

— ქართველების, როგორც ერის, ერთგულება ეჭვს გარეშეა. შესაძლოა, კერძო პირებმა შეადგინეს კომიტეტი, რომელიც მოქმედებდა და რაღაც იმედებსაც იძლეოდა, მაგრამ ხალხმა კი ამის შესახებ არა იცოდა რა. ეს მით უფრო დასაჯერია, რომ ქართულმა პრესამ დიდი პროტესტი და გულისწყრომა გამოუცხადა აგიტატორთა პატარა ჯგუფს და იმ პროკლამაციებს, რომელნიც ვითომ არსებობდა და თავის აზრებს ავრცელებდა, მაგრამ, ვიმეორებ, ფართო მასა, ხალხი აქ არაფერ შუაშია. კორესპონდენტის შეკითხვაზე,—ეს აზრი შეეხება თუ არა აჭარლებსაცო გოფმ. პეტერსონმა უპასუხა:

— ლოიალობა და ერთგულება ქართველებისა, როგორც მუსულმან-აჭარლებისა, ისე ქრისტიანთა ყოველ ეჭვს გარეშეა. აჭარაში მხოლოდ კერძო პირნი მიემხრენ ოსმალებსო.“

# ომი.

**პეტროგრადის დეპ. სააგენტოსაგან.**

**პეტროგრადი.** 12 მარტი. უმაღლესი მთავარსარდლის შტაბისაგან. დასავლეთის ფრონტზე, შუა ნემანიდან ჩვენ წინ მივიწევთ. მდ. ნარევის მარჯვენა და ვისლის მარცხენა ნაპირზე მდგომარეობა უცვლელია. კარპატებზე ბარტფელდისა და უჟოკის გზებს შორის ფრონტზე ჩვენი შეტევა ვითარდება. ჩვენმა ჯარმა გაძნელებულ პირობებში მტრის მოურიდებელი იერიში მოიგერია ლუპკოვის მთაგრეხილის რაიონში, სადაც ავსტრიელების მთავარი პოზიცია დაიჭირა. ბესკიდის მთების მთავარ ქედზე, გაიარა რა ეკლიანი ტყე და მავთულიანი ადგილები, ჩვენმა ქვეითა ჯარმა მტრის მთავარ პოზიციებზე იერიში მიიტანა, შეიჭრა ღრმა თხრილებში და მტრის სანგრები დაიჭირა. ავსტრიელებმა ჯგუფ-ჯგუფად რამდენჯერმე გაალმასებული იერიში მოიტანეს; ზოგი გავფანტეთ და ზოგიც ჩვენი ცეცხლითა და ხიშტით გავწყვიტეთ. დილით, 11 მარტს, რამდენიმე პოზიციიდან მტერმა უკან დაიხია. დღე-ღამის განმავლობაში ჩვენ დავატყვევეთ 100 აფიცერი და 5600 ჯარის კაცი, რამდენიმე ათეული ტყვისმტყორცნელი ვიხელთეთ.

**დასავლეთის ასპარეზი.**

**პარიზი.** 11 მარტი. საღამოს ოფიციალური ცნობა. სამშაბათის წინა ღამეს არასის ჩრდილოეთით გერმანელები შეეცადენ ნოტრდამდელორეტთან წინ წამოწეულ ადგილზე იერიშის მოტანას, მაგრამ ამაოთ. შამპანში აგრეთვე გერმანელებს უნდოდათ ბოსეჟურის სიმაგრეებზე იერიში მოეტანათ, მაგრამ მოგერებულ იქნენ.

**პარიზი.** 11 მარტი. დღის ოფიციალური ცნობა. მდ. იზერის მარჯვენა ნაპირზე ბელგიის ერთმა დივიზიამ წინ წაიწია და მეორემ გერმანელების თხრილი დაიჭირა. გარტმანსვეისთან იზერის მარცხენა ნაპირზე პირველი ხაზისა და თხრილის დაჭერის შემდეგ, ჩვენ მეორე ხაზიც დავიჭირეთ. მთის წვეროზე მოშორებით ჩვენი ჯარი თხრილებში მაგრდება. რამდენიმე ჯარის კაცი დავატყვევეთ, მათ შორის აფიცრებიც არიან.

**ლონდონი.** 11 მარტი. ოფიციალური ცნობა. ანტვერპენთან ინგლისის ორმა მფრინავმა გობოკენზე რვა ყუმბარა ჩამოაგდო.

**ოსმალეთის ასპარეზი.**

**პეტროგრადი.** 12 მარტი. კავკასიის ჯარის შტაბისაგან. 10 მარტს, ალაშქერის ველზე ოსმალები შეეცადენ ჩვენზე იერიშის მოტანას, მაგრამ ჩვენმა ჯარმა უკუაგდო მტერი. დანარჩენ ადგილებში კერძო შეტაკებები ხდებოდა.

# სხვა და სხვა ამბები.

(პეტრ. დეპ. სააგენტოსაგან).

**მაქუ.** 11 მარტი. ამიერ-კავკასიის რკინის გზები ბარგის გადაზიდვ-გადმოზიდვის შეწყვეტის გამო, მაკუს სახანო ნავთის, შაქრისა და უსაჭიროესი საგნების ნაკლებულობით შევიწროებას განიცდის. ეს საგნები აქ უმთავრესად რუსეთიდან შედიოდა. ამ გარემოებით ისარგებლეს მაკუს ვაჭრებმა და შეეცადენ რუსული მანეთის კურსის ოთხ აბაზამდი დაწევას, მაგრამ რუსეთის ელჩისგან მიღებული ზომების წყალობით, თვისი განზრახვა ვერ გაახორციელეს.

**ბუქარესტი.** 11 მარტი. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან, რომ „გებენს“ შეაკეთებენ. „ბრესლაუ“ ყოველდღე ბოსფორის სრუტედან საალღუმოთ გამოდის. გერმანიის ელჩმა ვანგენგეიმმა ოსმალეთის მთავრობა დაარწმუნა, რომ დარდანელის ასაღებათ მოკავშირეებს დასჭირდებათ გადმოსხმა არა ნაკლები 130,000 ჯარისკაცისა, მაგრამ გერმანიის სამხედრო საელჩოსაგან მიღებული ზომებით, საროსის ნავსადგურზე ჯარის გადმოსხმა მათთვის შეუძლებელი იქნება. ვანგენგეიმის რწმუნებას უნდობლათ შეხვდნენ. გერმანიის აფიცრები დარდანელზე დიდ მხნეობას იჩენენ. მოკავშირეთა ფლოტის თვალის ასახვევათ, ღამღამობით ბატარეიები ერთი ადგილიდან მეორე ადგილას გადაჰყავთ.

**ათინა.** 11 მარტი. კუნძულ ტენედოსაგან მიღებული ცნობებით, მოკავშირეთა ესკადრა, რომელიც 4 ჯავშნოსან და რუსის კრეისერ „ასკოლდი“-საგან შესდგება, გუშინ სრუტეებში შევიდა. ოსმალეთის რამდენიმე ფორტის ჩაჩუმება მომხდარ ფაქტად უნდა ჩაითვალოს.

**ათინა.** 11 მარტი. კონსტანტინეპოლიდან იტყობინებიან: აქ დიდ შიშსა და ნივთიერ გაჭირვებას განიცდიან მცხოვრებლებიო. ვაჭრობა შეფერხებულია. ქრისტიანებს 48 წლიანებს ამუშავებენ. ოსმალების ქალაქები დაცარიელდა. საბერძნეთში მდგომარეობა ჩვეულებრივია. პოლიციამ მანიფესტაციების გამართვა აკრძალა.

**ათინა.** 11 მარტი. ჯავშნოსნები „გოლუა“ და „ინფლექსიბლი“ მუდროსში მოვიდენ, რომ უკანასკნელათ შეაკეთონ და სანაღმო აპარატები გაუკეთონ. დღეს მოკავშირეთა ფლოტი ტრალერებთან ერთად შევიდა სრუტეში და ქსეროსის ნავსადგურზე ჯარის გადმოსხმას შეუდგა.

**ლონდონი.** 12 მარტი. დიდი გემი „სტროილა“, არგენტინის ბაირაღით, სელის თესლი დატვირთული, არგენტინიდან ნორვეგიას მიმავალი, კვინსტოუნში მოყვანილი. ინგლისის კრეისერმა გამოარკვია ამ გემის კომანდის შედგენილობა, რომელშიც გერმანიის ოთხი ქვეშევრდომიც შედიოდა. ესენი დაატუსაღეს. გემს სამხედრო მთავრობა იცავს.

**ლონდონი.** 12 მარტი. ლორდ როზბერის თავჯდომარეობით კომიტეტი შესდგა რუსის ბაირაღობის დღის მოსაწყობათ. ამ დღის შემოსავალი რუსის ჯარის მამაცობის აღსანიშნავათ ომისაგან დაზარალებულ რუსებს მოხმარდება. სამეფო და გეოგრაფიულმა საზოგადოებამ თავის საპატიო წევრთა სიიდან სვენგედინი გამორიცხეს, მტრისადმი გამოთქმული თანაგრძნობისათვის. ბიბლიოთეკის მზრუნველმა ტაგბერგმა რუსეთის შესახებ მოხსენება წაიკითხა. კრების თავჯდომარეამ მეკენზი უბლესიმ რუსეთ-ინგლისის შეთანხმების გამო სიხარული გამოსთქვა. წაკითხული იყო აგრეთვე გაზეთ „ტაიმსში“ გორემიკინის წერილი, რომელშიც რუსეთ-ინგლისის მომავალ კეთილგანწყობილებათა [illegible] დი იყო გამოთქმული.

**კოპენჰაგენი.** 12 მარტი. ავსტრიის საგენერლო შტაბის უფროსის მოადგილე გეფერი ამბობს, რომ პერემიშლეს დანებება საერთო მდგომარეობაზე ვერავითარ გავლენას ვერ იქონიებსო. როგორც უნდა ეცადოს გეფარი პერემიშლეს დაცემის უმნიშვნელობის დასამტკიცებლათ, მაინც დარწმუნებული ვართ, რომ პერემიშლეს დაცემას მხოლოდ რუსეთის ჯარის ბრწყინვალე გამარჯვებისთვის კი არა აქვს მარტო მნიშვნელობა, არამედ კარპატებზე საერთო საომარ მდგომარეობისთვისაც; ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ გერმანელები და ავსტრიელები მთელი თავისი ძალღონით შეეცადენ პერემიშლესთვის ალყა შემოეხსნათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწიეს.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

გერმანიამ ლიუქსემბურგის საჰერცოგოში სანოვაგის შეტანა შესწყვიტა. ინგლისი და ჰოლანდია დაპირდენ ლიუქსემბურგს სანოვაგეს ჩვენ მოგაწვდითო.

**რუმინია.**

ათი დღის წინათ სადგურ კაიენში მოვიდა ოსმალეთში გასაგზავნი 40 ვაგონი, რომელშიც იარაღი აღმოჩნდა. ეს ვაგონები და სხვა 4 საეჭვო ვაგონი რუმინიაში დასტოვეს.

---

ამსტერდამში ხმები გავრცელდა, რომ ლა-ბასსესთან ბრძოლის დროს შრაპნელით მძიმეთ დაიჭრა ბავარიის მემკვიდრე პრინციო.

---

იტალიაში დიდი მზადებაა; სრული მობილიზაცია დაიწყო. გამოცხადდა დეკრეტი, რომლის ძალითაც სხვა სახელმწიფოთა ქვეშევრდომების ოთხფეხი საქონელი მათვე დარჩებათ.

---

სტამბოლის დაკავების შესახებ ცნობილი გაზეთი „ტაიმსი“ შემდეგს სწერს: „არც ინგლისს, არც რუსეთს და არც საფრანგეთს არა აქვთ მიზეზი ბოსფორის კლიტის შესახებ ერთმანეთს შეედავონ. არც პარიზი და არც ლონდონი არ აღუდგებიან წინ იმ აზრს, რომ ბოსფორის კლიტე რუსეთს მიეკუთნოს“-ო.

---

„რუს. ვედ.“ ოგლინი სწერს, რომ პერემიშლეს ციხეში 100 ათასიან არმიის დატოვება ნათლათ ააშკარავებს ავსტრიელების მოქმედებას. მათ ასეთი მრავალ-

---

# ჩვენი ქვეყნის სავაჭრო-სამრეწველო დამოკიდებულება უცხოეთთან.

**წერილი ლონდონიდან.**

(მიმოხილვა 1884-დან 1912 წ—დი).

შემდეგი იხილე „სამშობლო“-ს №№ 29—33

**უცხოეთიდან ჩვენ ქვეყანაში შემოზიდული (იმპორტი) საქონელი.**

1878 წ. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ, ბერლინის კონგრესმა ბათუმი და მისი ოლქი რუსეთს მიუსაჯა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ქალაქი ბათუმი გამხდარიყო პორტო-ფრანკო (თავისუფალი ნავსადგური). ამნაირად უცხოეთიდან შემოზიდული საქონელი ქალაქ ბათომის საზღვრებში უბაჟოდ იყიდებოდა, მხოლოდ თუ ქალაქის საზღვრებს გასცდებოდა მაშინ იხდიდა ბაჟს. ამისათვის ბათომის გარეშემო ოთხი საბაჟო სადარაჯო იყო დაწესებული: ოზურგეთის, ჭოროხის, კახაბერისა და ჭოროხის ბოლოსი.

ასეთმა პირობებმა ხელი შეუწყო ბათომის ჩქარ განვითარებას. ბათომს მოაწყდა დიდძალი საქონელი უცხოეთიდან სპარსეთში გასატანად. მაგრამ ეს ბედნიერება დიდ ხანს არ გაგრძელებულა. უკვე 1883 წ. ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რომლითაც აკრძალ ბათომზე სპარსეთში გასაგზავნი საქონლის უბაჟოდ შემოზიდვა. ამან აიძულა ევროპიელი ფირმები სპარსეთში გასაგზავნი საქონელი ტრაპიზონზე ეგზავნათ, რაიცა დღემდი გრძელდება.

თითონ ბათომის ნავსადგურის თავისუფლებაც თანდათან შეზღუდეს და ბევრ საქონელზე ბაჟი დააწესეს. 1886 წ. კი ბათომის ნავსადგურის თავისუფლება სრულიად მოსპეს და უცხოეთიდან შემოზიდულ საქონელზე ძლიერ დიდი ბაჟი დააწესეს.

ამ მოკლე შენიშვნის შემდეგ გადავალთ უცხოეთიდან სხვადასხვა შემოზიდულ საქონელზე:

## 1. შაბიაბანი.

მას შემდეგ, რაც ჩვენში ვაზებზე ობი (მილდიუ) აღმოაჩინეს, შაბიაბანის ხმარება ძლიერ გავრცელდა და დღეს ვერ ნახავთ ისეთ მევენახეს, რომელიც ამ სითხეს არ ხმარობდეს ვაზის სამკურნალოდ.

ეს საქონელი უმთავრესად ინგლისიდან იგზავნება. სამწუხაროდ სტატისტიკური ცნობები მოგვეპოვება მარტო 1900 წლიდან, წინანდლების ანგარიშებში შაბიაბანი ცალკე არ არის აღნიშნული, არამედ სხვა ქიმიურ ნაწარმოებთან ერთად.

შემოიზიდა უცხოეთიდან ბათომზე:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1900 | წელს | 97,525 | ფუთი. |
| 1901 | „ | 81,100 | „ |
| 1902 | „ | 76,015 | „ |
| 1903 | „ | 69,190 | „ |
| 1904 | „ | 75,085 | „ |
| 1905 | „ | 58,280 | „ |
| 1906 | „ | 108,305 | „ |
| 1907 | „ | 29,265 | „ |
| 1908 | „ | 80,035 | „ |
| 1909 | „ | 53,755 | „ |
| 1910 | „ | 33,750 | „ |
| 1911 | „ | 64,790 | „ |
| 1912 | „ | 74,460 | „ |
| | სულ | 901,555 | ფუთი. |

სულ 1900—1912 წლამდი შემოზიდული შაბიაბანის ღირებულება უდრის, ფუთი რომ 3 მან. და 3 აბაზ. ვიანგარიშოთ: 3,245,598 მანეთს.

მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ შაბიაბანი გაცილებით უფრო ძვირად იყიდებოდა ჩვენში, ზემო აღნიშნული თანხა შესამჩნევათ გაიზრდება.

ამ მხრივ საჭიროა ანკეტის მოხდენა, რათა გამოვარკვიოთ, თუ ამ უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში რა ფასებში იძენდენ ჩვენი მევენახენი შაბიაბანს ყოველ წლიურად.

ძლიერ საგულისხმოა აგრეთვე ის გარემოება, რომ შემოზიდული შაბიაბანის რაოდენობა თითქმის მარტო ჩვენ ქვეყანაში იხმარება. მაშასადამე, ამ საქმის მოწყობა დიდს დახმარებას გაუწევს ჩვენს მევენახეებს და ყოველწლივ დიდ თანხას გამოაზოგვინებს.

ამ მხრივ ჩვენ უკვე გადავდგით პირველი ნაბიჯი და პირდაპირ ინგლისიდან გამოვუგზავნეთ შაბიაბანი ჩვენ მევენახეთ, რომელიც ღირსებით საუკეთესო გამოდგა და ყველა სხვა ფირმისაზე იაფი. დარწმუნებული ვართ საქმე თანდათან მკვიდრს ნიადაგზე დადგება.

## 2. გოგირდი.

მთელს ევროპაში ერთადერთი ადგილი, სადაც გოგირდის დიდი მადაროებია, არის სიცილიის კუნძული (იტალიაში). აქიდან ზიდვენ ჩვენში გოგირდს.

შემოიზიდა ბათომზე:

| | | | |
|---|---|---|---|
| 1891 | წ. . . . . | 241.118 | ფ. |
| 1893 | „ . . . . . | 248.000 | „ |
| 1894 | „ . . . . . | 106 206 | „ |
| 1895 | „ . . . . . | 202.616 | „ |
| 1896 | „ . . . . . | 276 706 | „ |
| 1897 | „ . . . . . | 305.938 | „ |
| 1898 | „ . . . . . | 286.962 | „ |
| 1899 | „ . . . . . | 298.908 | „ |
| 1900 | „ . . . . . | 138.012 | „ |
| 1901 | „ . . . . . | 223.900 | „ |
| 1902 | „ . . . . . | 192.386 | „ |
| 1903 | „ . . . . . | 253.580 | „ |
| 1904 | „ . . . . . | 196.292 | „ |
| 1905 | „ . . . . . | 53.382 | „ |
| 1908 | „ . . . . . | 109.368 | „ |
| 1909 | „ . . . . . | 86.304 | „ |
| 1910 | „ . . . . . | 55.490 | „ |
| 1911 | „ . . . . . | 166.470 | „ |
| 1912 | „ . . . . . | 102.238 | „ |

1892, 1906 და 1907 წ. ცნობები არ მოიპოება.

შემოზიდული რაოდენობიდან ყოველწლიურად ჩვენი ქვეყნის მევენახობა-მეღვინეობაში ჩვენის ვარაუდით იხმარება 30,000 ფუთი, ასე რომ ამ 19 წლის განმავლობაში უხმარიათ 570.000 ფუთი. თითო ფუთი რომ 1 მ. 50 კ. ვიანგარიშოთ გამოდის 855.000 მან.

ძლიერ საჭიროა ამ საკითხის შესახებაც ანკეტის მოხდენა, რათა გამოირკვეს თუ რა ფასებში და რამდენ გოგირდს ყიდულობდენ ჩვენი მევენახენი ყოველწლიურად.

წრეულს ჩვენ უკვე პირდაპირ იტალიიდან შემოვზიდეთ ჩვენს მევენახეთათვის გოგირდი და იმედი გვაქვს ამ საქმის გაფართოებისა.

## 3. აბრეშუმის თესლი.

მთელს ამიერ კავკასიაში ყოველწლიურად იხმარება 300—400 ფუთი თესლი. აქიდან უმეტესი ნაწილი მზადდება ადგილობრივ ან შემოდის თურქესტანიდან და ნაწილი შემოდის უცხოეთიდან.

შემოიზიდა ბათომზე:

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1892 | წ. | 4 | ფ. | 9 | გირ. | 95 | მისხ. |
| 1893 | „ | 190 | „ | 18 | „ | 94 | „ |
| 1894 | „ | 302 | „ | 28 | „ | 60 | „ |
| 1895 | „ | 360 | | 12 | | 61 | |
| 1897 | „ | 600 | | — | | — | |

სამწუხაროდ დანარჩენი წლების შემოზიდვის ციფრები არ მოგვეპოება.

ეს თესლი უმთავრესად: ოსმალეთიდან (ბაღდათის თეთრი) და სამხრეთ საფრანგეთიდან (ყვითელი) და ძლიერ იშვიათად იტალიიდან შემოდის.

უმთავრესი მიზეზი ცუდი პარკის მოსავლისა, არის ის გარემოება, რომ ოსმალეთიდან შემოზიდული თესლი უმთავრესად ცუდი ღირსების არის. ამის წინააღმდეგ იბრძვის კავკასიის საბრეშუმო სადგური, რომელიც 1887 წ. დაარსდა.

სადგური იმის და მიხედვით თუ რა თვისებისაა შემოწმებული თესლი, ჰყოფს მას სამ ხარისხად და აკრავს სხვადასხვა ფერის ბანდეროლს.

1) პირველი ხარისხის თესლი ის არის, რომელშიაც სრულიად არ არის ავადმყოფობა პებრინის ნასახი. ამისთანა თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს თეთრი ბანდეროლი ზედ წარწერით „უპებრინოა“ და დაბეჭდილია წითელი ლაქით; 2) მეორე ხარისხის თესლი თუმცა ცოტა პებრინიანია, მაგრამ ჭიის გამოკვებას და პარკის მოსავალს არ ავნებს. ამისთანა კოლოფებს შემოკრული აქვს ლურჯი ბანდეროლი ზედ წარწერით „სამრეწველოა“ და დაბეჭდილია წითელი ლაქით; 3) მესამე ხარისხის თესლი ცუდი თვისებისაა—პებრინიანია და პარკის მოსავლისათვის არ ვარგა. ამისთანა თესლიან კოლოფებს შემოკრული აქვს წითელი ბან-

რიცხოვანი ჯარი განგებ დასტოვეს პერემიშლეში ოქტომბერში, როდესაც სანიდან დაიხიეს. ეგონათ ეს დახევა ხანგრძლივი არ იქნებოდა, მალე იერიშებს მიიტანდენ და თვით ციხის გარნიზონი კი დიდ როლს ითამაშებდა საერთო იერიშებისა და ბრძოლის დროს. მათი გეგმა ამ შემთხვევაში ყალბი გამოდგა: ციხეში მომწყვდეულმა ჯარმა არა თუ ვერ მოახერხა მონაწილეობა მიეღო საერთო მოქმედებებში, თვითონ გახდა იერიშის საგნათ. ავსტრიელები და გერმანელები სასტიკი იერიშებით მოდიოდენ კარპატების მთელ ფრონტზე, იმ იმედით, რომ როგორმე გამოეხსნათ ალყაშემორტყმული ჯარი, მაგრამ აქაც მოსტყუვდენ და მსხვერპლს კიდევ მსხვერპლი მიუმატეს.

# უცხოეთი.

(ჟურნალ-გაზეთებიდან).

მუშების და მათ დამქირავებელთა შეთანხმება გერმანიაში..

ბევრი ნიშნებია იმისი, რომ ახლანდელი მსოფლიო ომი დიდ გავლენას ახდენს დღევანდელი ევროპის სოციალურ-ეკონომიურ ცხოვრებაზე; გერმანიის მუშათა კავშირები და მათ დამქირავებელთა ხაზეინების მათთან შეთანხმება ამის თვალსაჩინო მაგალითს წარმოგვიდგენს. აშკარა ფაქტია, რომ მუშათა პროფესიონალური კავშირები და ხაზეინების— ჩვეულებრივათ ერთმეორის საწინააღმდეგოთ არსებობენ; მარა ახლანდელმა ომმა ამ მოვლენის ხასიათი ძალიან შეასუსტა და ახალი სახე მისცა მას: დღეს გერმანიაში, მაგალითათ, ახალი საწარმოვომრეწველობითი შეთანხმება დაიბადა მუშებსა და ხაზეინებს შორის.

უკვე არსებული კავშირები, როგორც მუშებისა, ისე ხაზეინებისა გაერთიანდენ ერთგვარ ნიადაგზე და ისეთ დაწესებულებათ იქცენ, რომელსაც მიზნათ აქვს „ხელობის საერთო ინტერესებს ხელი შეუწყოს“.

გერმანიაში ახლა ძალიან გამრავლდა ეგრედ წოდებული „საქმისთვის გაერთიანები“ კავშირები; და ასეთი „გაერთიანება“ ომის პირობებმა და „სტარიფო შეთანხმების“ საჭიროებამ გამოიწვია.

მუშებმა კოლექტიური ხელშეკრულობა მოთხოვეს ხაზეინებს, რომ შრომის პირობები განსაზღვრული ყოფილიყო ამ ომიანობის დროს მაინც და ხაზეინებიც ამაზე დათანხმდენ.

ამას გარდა „საქმის გაერთიანების მიზანია: საერთო ძალღონით იზრუნონ დასაკვეთ საქმის მოსაპოვებლათ, ზედამხედველობა გაუწიონ, თუ რამდენათ სამართლიანათ არის საქმეები განაწილებული წარმოების რომელიმე დარგში, მუშებისთვის დაცულ იქნას შრომის ის პირობები, რომლებითაც ისინი მშვიდობიანობის დროს სარგებლობდენ და რაც შეძლება მუშათა მეტ რიცხვს ქონდეს სამუშაო, რაც სამუშაო დროს შემცირებითა და სამუშაოების სხვა და სხვა კერძო დაწესებულებათა შორის წესიერი განაწილებით არის მოსახერხებელი.

მუშებისა და ხაზეინებს ამ მხრით „გაერთიანების“ მთავარ ორგანოთ ითვლება კომიტეტი, რომელიც თანასწორი რიცხვის წარმომადგენლებისაგან შესდგება, როგორც მუშათა კავშირების მხრით, ისე ხაზეინების თანასწორი წარმომადგენლები ყავს ორივე მხარეს, აგრეთვე ყველა პროვინციალურ კომიტეტებშიაც.

ასეთ „გამაერთიანებელ-შემათანხმებელ“ დაწესებულების დაარსების დროს მუშათა კავშირის „რადიკალური“ ხასიათი ან მისი შეურიგებლობა კი არ აქვთ მხედველობაში, არამედ ყურადღებას აპყრობენ მხოლოდ იმ გარემოებას, თუ რა მდგომარეობაშია ჩავარდნილი ომის გამო წარმოების რომელიმე დარგი და უმუშევართა რამდენი პროცენტი ითვლება ამ დარგში.

პირველი ასეთი „შემათანხმებელი“ კავშირი გერმანიაში 20 სექტემბერს შეადგინეს; და ეს „შეთანხმება“ მოახდინა ისეთმა ძლიერმა პროფესიონალურმა კავშირმა, რომელშიაც 200,000 ზეზე მომუშავე შედის და რომელიც მუშათა პროფესიონალურ კავშირთა შორის მიმართულებით ყველაზე უფრო „რადიკალათ“ ითვლება.

შეთანხმებულ კავშირების გადაწყვეტილებას მთავრობის და საზოგადოების თვალში მაშინ აქვს მნიშვნელობა, თუ იგი მართლა სერიოზულ და ფართეთ გავრცელებულ კავშირების „შეთანხმებას“ წარმოადგენ.

ამიტომაც ცდილობენ, რომ ასეთი გამაერთიანებელი“ დაწესებულება მართლაც მრავალ რიცხოვან და ძლიერ კავშირებისაგან იყოს შემდგარი. ეს გარემოება აუცილებელ პირობათ ითვლება, რომ ისეთი კავშირებიც კი „შეათანხმოს“ რომლებიც წინათ ერთმანეთ შორის კონკურენციას და ბრძოლას ეწეოდენ.

მაგალითად, შეიძლება დავასახელოთ საამშენებლო დარგი, სადაც ერთი მხრით დგანან ხაზეინების 12 კავშირი, 60 ათასი წევრით, ხოლო მეორე მხრით ამ კავშირებთან „შეთანხმებულა“ 18 მუშათა კავშირი, რომელშიაც ერთ მილიონამდე მონაწილე ითვლება.

ამ „შეთანხმების“ ისტორიიდან აშკარათ სჩანს, რომ ინიციატივა თვითონ მუშათა სხვა და სხვა მიმართულების კავშირების შეერთებულ სხდომას ეკუთვნის.

სექტემბრის დამლევს ჯარში გაწვეულ მუშების გარდა სამშენებლო დარგის მუშათა 25 პროც. უმუშევართა რიცხვში ითვლებოდა. ამ გარემოების გამო კავშირების თათბირმა დაადგინა, რომ ომის განმავლობაში გაფიცვები არ გამართონ და ხაზეინების კავშირებს მიმართონ, რომ მათთან ერთათ ამ საკითხზე საერთო თათბირი მოაწყონ.

მუშების ასეთ დადგენილებაზე ხაზეინების კავშირმა თავის წევრებისადმი მოწოდების გამოცემით გასცა პასუხი. ისინი თავიანთ წევრებს წინადადებას აძლევდენ: ომის გამო მუშებისთვის ქირა არ დაეკლოთ და წინანდელი „ტარიფები“ მტკიცეთ დაეცვათ, რის გამოც შემდეგში მუშების და ხაზეინების კავშირთა „შემათანხმებელი“ დაწესებულება მართლაც მოეწყო.

„შემათანხმებელ“ დაწესებულებების მეორე მნიშვნელობა ის არის, რომ ისინი იცავენ მუშებს ხაზეინების თვითნებობისაგან, უმსუბუქებენ მათ უმუშევრობის ტვირთს და „შრომის“ პირობების გაუმჯობესებას ხელს უწყობენ. ხაზეინები, მაგალითად, პირობას სდებენ, რომ ომიანობით არ ისარგებლონ და მუშებს პირობები არ გაუუარესონ მათი პროფესიონალური კავშირები არ დაარღვიონ, პირიქით ხელი შეუწყონ, რომ უმუშევართა რიცხვი, რაც შეიძლება შემცირდეს. მაგალითად ამ მიზნით მათ დღევანდლამდე სამუშაო დღე მუშებს 7 საათამდე შეუმცირეს. ანაწილებენ ურთიერთ შორის სხვა დასხვა დაწესებულებები უმუშევრათ დარჩენილებს და მათ სამუშაოს აძლევენ და სხვა...

ხაზეინების ზოგი კავშირი იქამდე მივიდა, რომ თავისი „ბრძოლის ფონდი“ს დანიშნულება შესცვალა. გაფიცვებთან ბრძოლის ნაცვლათ საურთიერთო დახმარების „ფონდათ“ გადააქცია და მუშებთან ბრძოლაზე ხელი აიღო. ასევე მოიქცა ზოგიერთი მუშათა კავშირთაგანიც. მაგალითად, 19 ოქტომბერს მკერვალ ხაზეინების კავშირმა, რომელსაც „გაფიცვის საწინააღმდეგო ფონდი“ ჰქონდა შემდგარი, დაადგინა, რომ ხსენებული „ფონდი“ შემწეობათ მისცეს იმ მწარმოებელ ამხანაგებს, რომლებიც ომის მიზეზით იძულებული გახდენ წარმოება შეეჩერებიათ. ამის მსგავსი მაგალითები სხვაც ბევრი ხდება გერმანიაში დღეს, როგორც ხაზეინების მხრით, ისე მუშების მხრითაც.

და მერე რას მოასწავებს ეს? მხოლოთ იმას, რომ გარეშე ძლიერი მტრის წინააღმდეგ საშინელი ბრძოლის წინაშე, შინაური კლასიური ბრძოლა შესუსტდა, თითქმის შეჩერდა, რის გამოც მოწინააღმდეგე ძალები შინ დროებით „შეერთდენ“, რომ მოსეულ გამანადგურებელ მტერს შესაფერი წინააღმდეგობა გაუწიონ, შეაჩერონ ის და თავიდან მოიშორონ...

ამ საკითხზე, თუ რა სჯობია ზავის შეკვრის და მშვიდობიანობის ჩამოგდების შემდეგ, სოციალისტური პრესა ერთი აზრის არ არის. ერთი რომ ზავის შეკვრის შემდეგაც სასურველათ და შესაძლებლათ ცნობს ხსენებული „შემათანხმებელი“ დაწესებულებანი“ შენახულ იქნას, მეორე სრულიათ უარჰყოფს ამას და ამტკიცებს, რომ ყველა ასეთი „შეთანხმებანი“ „ზავის“ უმალვე გაჰქრებიან და კლასთა შორის ბრძოლა, როგორც სხვაგან ევროპაში, ისე გერმანიაშიაც კიდევ უფრო მეტი ძლიერებით იწარმოებს. ყველა კი შეთანხმებულია მხოლოთ იმ საგნის შესახებ, რომ ამ „შემათანხმებელმა“ დაწესებულებებმა მუშებისთვის ერთი უტყუარი და მეტათ საყურადღებო ნაყოფი გამოიღო. სახელდობრ ის, რომ ამ გარემოების გავლენით დღეს უფრო დაუახლოვდენ ერთიმეორეს და შეკავშირდენ მუშების სხვადასხვა მიმართულების კავშირები.

მაგალითად ამ უკანასკნელ ხანებში სამთამადნო წარმოების მუშათა სხვადასხვა მიმართულების ოთხმა კავშირმა დაადგინა, რომ გაერთიანდეს და თავიანთ მიზანს ერთათ ემსახურონ. ამნაირათ ახლა ერთ კავშირში შედიან, როგორც სოციალ-დემოკრატი მუშები ისე ქრისტიან სოციალისტები და „ლიბერალების მიმდევრები“, აგრეთვე პოლონელებიც.

დ—ელი.

## აგენტების საყურადღებოთ.

გაზეთ „სამშობლოს“ რედაქციის კანტორა აგენტების საყურადღებოთ აცხადებს, რომ პირველი მარტიდან ყოველგვარი მიწერ-მოწერა და ფული გამოგზავნონ რედაქციის სახელზე. გაყიდული გაზეთების ფული უნდა გამოიგზავნოს ორ კვირაში ერთჯერ, ხოლო დაწვრილებითი ანგარიში და გაუყიდველი გაზეთების უკან დაბრუნება არა უგვიანეს დამდეგი თვის სამი რიცხვისა.

# ახალი ამბავი.

ხვალინდელ სურათებიან დამატებაში დაიბეჭდება სურათები ქალაქის მოურავის ი. მ. ჩიქოვანისა, ექიმის და მწერლის ვ. გ. წერეთლისა და ომში მოკლულთა სამი მეომრისა. ლექსები ი. ქიქინაძისა, ელზაშვილისა, მიწიშვილისა და ანაშვილის.

✦ ჭლექთან მებრძოლ კავკასიის საზოგადოების უფროსმა თავჯდომარემ მეფის მოადგილის წინაშე შუამდგომლობა აღძრა, მოაწყოს გვირილობა დაბა-ქალაქებში იმ დღეებში, რომელიც უფრო შესაფერისი იქნება დღესასწაულისთვის.

✦ ამ დღეებში ოკრიბაში [illegible] სახალხო სკოლების მზრუნველი, სკოლების დასათვალიერებლათ.

✦ როგორც ქვემო იმერ[illegible] რენ, აბრეშუმის ჭია [illegible] თბილი ამინდების გამო [illegible] წელს ჩვეულებრივზე ერთი თვით ადრე იქნება.

✦ ამ დღეებში საზოგადო საკრებულოს დარბაზში შესდგა მამასახლისთა საბჭოს წლიური კრება. კრებამ ახალი მამასახლისები აირჩია ძველების მაგიერათ.

✦ გუშინ, ქუთაისის ბაზარზე, შორაპნის რაიონიდან ჩამოტანილი ნამყენი ვაზის ასი ცალი ორ მანეთად ფასობდა.

✦ ქ. შ. წ. კ. გამ. საზოგად. ქუთ. განყოფილების წევრთა წლიური საზოგადო კრება დანიშნულია აპრილის პირველ რიცხვებისათვის.

✦ ქუთაისის მეეტლეებმა ქალაქის გამგეობაში თხოვნა შეიტანეს, ეტლით მიმოსვლის ნიხრის მომატების შესახებ.

✦ დღესასწაულების გამო, საოლქო სასამართლოში საქმეების გარჩევა 18 მარტიდან შეწყდება.

✦ მედუქნეებმა ყოველივე სანოვაგეს ფასი ხელოვნურათ კვლავ აუწიეს. ხშირათ ხდება ხოლმე, რომ გირვანქა შაქარს 5 შაურათ ჰყიდიან. ამის გამო სათადარიგო ჯარისკაცთა მე-110 ბატალიონის კამანდირი შუამდგომლობს ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა ამ გარემოებას ჯეროვანი ყურადღება მიექცეს.

✦ გუშინ ქუთაისის ბაზარზე ფუთი სიმიდის ფქვილი 1 მანეთად და 2 აბაზათ ფასობდა; ლობიო—1 მან.; ნიგოზი ფუთი—12 აბაზათ; ხახვი—1 მანეთად და ყველი ჩარექი—10 შაურად.

✦ 16 მარტს ოლქის სასამართლო გაარჩევს ერემია მიკაცაძისა და ილია გოგლიჩაძის საქმეს.

### მოწერილი ამბავი.

ს. ბანძა. აქაურ ჩარჩ-ვაჭრების თავგასულობას საზღვარი არა აქვს. რა რომ ომი გამოცხადდა მას შემდეგ (წარსული დაგვავიწყდა) ხალხის ცარცვა-გლეჯას ერთი ორად უმატებენ. ყოველგვარი სანოვაგე, ისეა ჩვენში გაძვირებული მათი მეოხებით, რომ ისედაც ტყავ გამძვრალი მცხოვრებლები, სასოწარკვეთილებაში არიან ჩავარდნილი და არ იციან რა გზას მიმართონ. საჭიროა ადგილობრივმა ადმინისტრაციამ რაიმე ზომა მიიღოს თავგასული ჩარჩების ასალაგმავათ, სანამ მცხოვრებთა მოთმინების ფიალა აივსებოდეს.

აქაური.

# ფოთი.

კვირას, 8 ამ თვეს, ფოთის საკათედრო ტაძარში გადახდილ იქნა ორმოცი დღის დღის წირვა და პანაშვიდი ჩვენი სასიქადულო მგოსნის, აკაკი წერეთლის სულის მოსახსენებლად. მწირველი იყო მღვდელ-

დეროლი ზედ წარწერით „ავადმყოფია“ და დაბეჭდილია შავი ლაქით.

წარდგენილი იქნა კავკასიის საბრეშუმო სადგურში შესამოწმებლად თესლი:

| | ოსმალეთის: | | | ევროპის: | | | ადგილობრივი: | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლები. | ფუთ. | გირ. | მისხ. | ფუთ. | გირ. | მისხ. | ფუთ. | გირ. | მისხ. |
| 1894 | — | 7 | 12 | — | — | 42 | — | 7 | 54 |
| 1895 | 1 | 36 | 48 | — | 9 | 12 | 2 | 5 | 60 |
| 1898 | 2 | 8 | 90 | — | 5 | — | 2 | 13 | 90 |
| 1899 | 1 | 9 | 10 | 1 | 20 | 80 | 2 | 30 | 90 |
| 1900 | 143 | 35 | 9 | 53 | 23 | 54 | 9 | 14 | 33 |
| 1901 | 269 | 28 | 95 | 36 | 39 | — | 21 | 26 | 45 |
| 1902 | 107 | 38 | 32 | 16 | 35 | 17 | 16 | 19 | 26 |
| 1903 | 57 | 6 | 27 | 5 | 37 | — | 6 | 10 | 16 |
| 1904 | 122 | 1 | 13 | 7 | 7 | 21 | 8 | 12 | 69 |

შესამოწმებლად წარდგენილი თესლის გამომგზავნელი არიან: ოსმალეთიდან—92 სომხური და 123 ბერძნული ფირმა. საფრანგეთიდან—30 ფირმა. კავკასიიდან—38 სომხური და 8 ქართული ფირმა.

როგორც ხედავთ, 215 ოსმალეთის ფირმა იღებს თესლის ვაჭრობაში მონაწილეობას და ძლიერაც ატყუებენ ჩვენ გლეხობას. ბევრი ატირებული ოჯახის ქალი, მათი მსხვერპლი გამხდარა და დროა ამ გარყვნილებას, ესე იგი ცუდი თესლის გავრცელებას, ბოლო მოუღოთ.

დიდი სირცხვილია რომ ბათომიდან 48 საათის სავალზე მდებარე ბრუსიდან (ოსმალეთი) ვერ მოგვიწყვია თესლის გამოტანა და 215 სომეხ-ბერძენს ვაყვლეფიეფთ თავს!..

4 ყოველგვარი მანქანები შემოიზიდა ბათომზე:

| წლები. | ფუთი. | წლები. | ფუთი. |
|---|---|---|---|
| 1888 | 818,754 | 1901 | 33,408 |
| 1889 | 489,180 | 1902 | 55,490 |
| 1890 | 659,432 | 1903 | 136,896 |
| 1891 | 105,648 | 1904 | 224,254 |
| 1892 | 651,000 | 1905 | 72,850 |
| 1893 | 81,034 | 1906 | 97,526 |
| 1894 | 33,790 | 1907 | 114,576 |
| 1895 | 94,364 | 1908 | 125,884 |
| 1896 | 94,860 | 1909 | 149,978 |
| 1897 | 92,876 | 1910 | 89,466 |
| 1898 | 93,676 | 1911 | 116,808 |
| 1899 | 24,800 | 1912 | 121,272 |
| 1900 | 249,200 | — | — |

1888 წ. 1912 წლამდი, ე. ი. 25 წლის განმავლობაში, უცხოეთიდან შემოზიდული მანქანების ღირებულობა დაახლოვებით უდრის 50 მილიონ მანეთს.

5 ყოველნაირი ქიმიური ნაწარმოები და საღებავები შემოზიდულ იქნა ბათომზე.

| წლები. | ფუთი. | წლები. | ფუთი. |
|---|---|---|---|
| 1887 | 210,800 | 1900 | 60,946 |
| 1888 | 248,000 | 1901 | 46,996 |
| 1889 | 235,104 | 1902 | 47,702 |
| 1890 | 119,728 | 1903 | 44,330 |
| 1891 | 139,686 | 1904 | 39,556 |
| 1892 | 434,000 | 1905 | 31,000 |
| 1893 | 62,000 | 1906 | 29,512 |
| 1894 | 55,259 | 1907 | 114,452 |
| 1895 | 134,106 | 1908 | 23,994 |
| 1896 | 222,954 | 1909 | 86,366 |
| 1897 | 122,96 | 1910 | 32,242 |
| 1898 | 99,944 | 1911 | 36,208 |
| 1899 | 104,766 | 1912 | 67,456 |

1887 წ.—1912 წლამდე ე. ი. 26 წლის განმავლობაში შემოზიდული საქონლის რაოდენობა უდრის: 9 მილიონ მანეთს:

ეს საქონელიც მთელს კავკასიაში გავრცელდა და არა მარტო ჩვენ ქვეყანაში.

6. დამუშავებული მადანი: რკინა, თუჯი, ფოლადი, სპილენძი, ცინკი, ტყვია და თითბერი შემოიზიდა ბათომზე:

| წლები. | ფუთი. | წელი. | ფუთი. |
|---|---|---|---|
| 1885 | 29,648 | 1900 | 218,612 |
| 1886 | 279,000 | 1901 | 127,903 |
| 1887 | 248,000 | 1902 | 145,142 |
| 1888 | 376,650 | 1903 | 141,360 |
| 1890 | 659,432 | 1904 | 134,106 |
| 1891 | 697,996 | 1905 | 109,306 |
| 1892 | 1,221,400 | 1906 | 138,632 |
| 1893 | 274,226 | 1907 | 133,610 |
| 1894 | 514,066 | 1908 | 150,350 |
| 1895 | 379,478 | 1909 | 76,198 |
| 1896 | 428,172 | 1910 | 119,474 |
| 1897 | 478,020 | 1911 | 120,900 |
| 1898 | 409,386 | 1912 | 112,716 |
| 1899 | 585,466 | — | — |

1885 წ.—1912 წლამდი შემოზიდულ საქონლის ღირებულობა დაახლოვებით უდრის 34 მილ. მან.

ეს საქონელიც მთელი კავკასიაში გავრცელდა და არა მარტო ჩვენ ქვეყანაში.

7. კოლონიალური საქონელი: ყავა, კაკაო, პილპილი, ჩაი და ყოველნაირი სანოვაგე. შემოიზიდა ბათომზე:

| წელი. | ფუთი. | წელი. | ფუთი. |
|---|---|---|---|
| 1892 | 248,000 | 1903 | 15,314 |
| 1893 | 47,998 | 1904 | 13,268 |
| 1894 | 48,028 | 1905 | 20,832 |
| 1905 | 29,016 | 1906 | 170,252 |
| 1896 | 49,910 | 1907 | 596,316 |
| 1897 | 37,262 | 1908 | 358,838 |
| 1898 | 55,304 | 1909 | 717,154 |
| 1900 | 56,048 | 1910 | 453,016 |
| 4901 | 67,048 | 1911 | 932,116 |
| 1902 | 12,600 | 1912 | 410,688 |

1909 წ.—1912 წლამდი ამ რაოდენობაში შედის ინდოეთისა და ჩინეთის ჩაი, რომელიც განსაკუთრებით მიდის თურქესტანში და უბაჟოდ სპარსეთში.

სულ 1892—1912 წლამდი შემოზიდული საქონლის ღირებულება უდრის: 50 მილიონ მან.

აქედან მარტო შემოტანილი ჩაის ღირებულება უდრის: 40 მილიონ მან.

ყველა შემოაღნიშნული საქონელი გავრცელდა მთელს თურქესტანში, კავკასიაში და ნაწილი სპარსეთში.

8) სხვა და სხვა საქონელი.

აქ მოვიხსენიებთ იმ საქონელს, რომელიც შემოიზიდა წვრილ პარტიობით ბათომზე.

1906 წ.—1912 წლამდი ამ რაოდენობაში შედის ინდოეთისა და ჩინეთის ჩაი, რომელიც განსაკუთრებით მიდის თურქესტანში და უბაჟოდ სპარსეთში.

სულ 1892—1912 წლამდი შემოზიდული საქონლის ღირებულება უდრის: 50 მილიონ მანეთს. აქედან მარტო შემოზიდული ჩაის ღირებულება უდრის: 40 მილიონ მანეთს.

ყველა ზემოაღნიშნული საქონელი გავრცელდა მთელს თურქესთანში, კავკასიაში და ნაწილი სპარსეთში.

### 13. სხვა და სხვა საქონელი.

აქ მოვიხსენიებთ იმ საქონელს, რომელიც შემოიზიდა წვრილ პარტიობით ბათომზე:

ფუტკრის სანთელი, ცერეზინი, პარაფინი, ტყავეულობა, ჯოხები, ავეჯეულობა, ნერგები, თეთრეულობა, სამკურნალო მცენარენი, კალათები, ქილობი, ცემენტი, კირი, ქუჩის მოსაკირწყლავი ქვა, მარმარილო, წისქვილის ქვები, გრაფიტი, კრამიტი, ჭურჭლეულობა, სარკის შუშა, კუპრი, კანიფოლი, საკმეველი, ემალის ჭურჭელი, რკინის მავთული, ცელი, სადურგლო იარაღი, ბამბა (ეგვიპტიდან), ბაწრები, ტომრები, მასრები, თეთრი აგური, გაზის ფითილი და სხვა;

| წლები. | ფუთი. | წელი. | ფუთი. |
|---|---|---|---|
| 1884 | 285,882 | 1899 | 668,650 |
| 1885 | 355,074 | 1900 | 1,078,498 |
| 1886 | 589,000 | 1901 | 1,200,922 |
| 1887 | 595,200 | 1902 | 1,275,960 |
| 1888 | 1,511,880 | 1903 | 764,026 |
| 1889 | 853,120 | 1804 | 1,016,800 |
| 1890 | 635,468 | 1905 | 338,954 |
| 1891 | 488,956 | 1906 | 367,970 |
| 1892 | 700,60) | 1907 | 1,120,278 |
| 1893 | 591,914 | 1908 | 525,078 |
| 1894 | 407,518 | 1909 | 639,592 |
| 1895 | 326,880 | 1910 | 502,076 |
| 1896 | 382,106 | 1911 | 592,330 |
| 1897 | 449,066 | 1912 | 603,136 |
| 1898 | 398,536 | — | — |

სულ 1884—1912 წლამდე შემოზიდული საქონლის ღირებულება უდრის: 50 მილიონ მანეთს.

ეს სხვადასხვა საქონელიც მთელს კავკასიაში გავრცელდა და არა მარტო ჩვენს ქვეყანაში.

დავით ლამბაშიძე.

(შემდეგი იქნება.)

## სავაჭრო სახლი „ი. გოკიელოვის ძ—ბის“ ქუთაისში

ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეთა და თესლის გამყიდველებს, რომ ცნობილი აბრეშუმის თესლი

## ნ. ხრისტოდულიდის. მიღებულია.

ვინც თესლს შეგვიკვეთს ათ მარტამდი არა ნაკლებ ერთი ყუთისა, რომელშიაც ორასი კოლოფია, მას 6 მისხლიანი კოლოფი დაეთმობა 2 მ. და 3 აბაზათ. შეკვეთის დროს სავალდებულოა ბეთ წარმოდგენა 100 მანეთის. დანარჩენი ფული კი საქონლის წაღებისას. თესლის წაღების უკანასკნელ ვადათ დანიშნული გვაქვს 20 მარტი. ფარცხანაყანევისთვის, ქვიტირისათვის, მაღლაკისათვის, პატრიკეთისათვის, საყულიისათვის, შუამთისათვის, სვირისათვის და წყალტუბოსთვის აგენტად დანიშნულია ლევანტი ექვთიმეს ძე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხანაყანევის იარმუკაში. თ.


მთავარი ლეონიდი, რომელმაც მშვენიერი სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას. მან უამბო მსმენელთ თავის შთაბეჭდილებანი, რომელნიც განეცადა მას პეტროგრადში და ის სულიერი ტანჯვა, რომელიც უგრძნია, თავის სამწყსოს და საყვარელ სამშობლოს მოშორებულს, მღვდელ-მთავარს. სთქვა, თუ რა თავზარი დასცა მას და მასთან, მთელ პეტროგრადელ ქართველობას აკაკის გარდაცვალების ამბავმა, დაგვისურათა მკაფიოთ და მდაბიო ენით აკაკის ღვაწლი თვის ერის წინაშე, და მოუწოდა მსმენელებს, რომ ისინი, როგორც ერთი კაცი, შეერთდენ, სახლში და გარეთ, გაიმსჭვალონ აკაკის მაღალი იდეალებით, განსპეტაკებულნი წმინდა გრძნობებით შეუდგნენ სამშობლოს აღორძინების მუშაობას. მშვენიერი იყო სიტყვა როგორც აზრით, ისე გამოთქმით. კარგი იქნებოდა, რომ ეს სიტყვა სადმე დაბეჭდილიყო და მით საზოგადოებას მისცემოდა საშუალება მისი გაცნობისა.

პანაშვიდზე გალობდა თეკლათის მონაზონთა გუნდი. გალობა მათი იყო მწყობრი, ნაღვლიანი და გულს ატყვევებდა. საზოგადოება დაიშალა, მაგრამ ყველა მათგანს ყურში უალერსებდა გრძნობით სავსე თქმული სიტყვა მღვდელ-მთავრისა და მწყობრი გალობის ხმა მონაზვნებისა.

**ფოთელი.**

## სააღდგომო საჩუქარი.

ლაილაშის შოთა რუსთველის სახელობის ბიბლიოთეკას.

ამ დღეებში ლეჩხუმიდან ქუთაისს ჩამოვიდა ლაილაშის შ.-რუსთვლის სახელობის სამკითხველოს გამგე მელქო კაჭკაჭოვი ამ სამკითხველოსთვის წიგნების შესაკრებათ. მან კანტორა „იმერეთი“ ს გამგესთან ერთად ჩამოიარა აქაური ყველა წიგნის მაღაზია, რომლებმაც გარდა ერთის, (გალუსტოვისა) სიამოვნებით შესწირეს ხსენებულ სამკითხველოს ქართული წიგნები:

ძმ. ოცხელებმა—4 მ. 45 კ. მთავრიშვილმა და ამხ.—6 მ. 15 კ., ვას. ბეჟანეიშვილმა და ლოლაძერიძემ—8 მ. 41 კ. „ვასილ კორძაძემ—7 მ. 38 კაპ. ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთი“ ამ ომიანობის დროს უგზავნიდა სამკითხველოს ჟურნალ-გაზეთებს 14 მან. ხოლო ახლა გადასცა სამკითხველოს გამგეს 8 მ. 50 კ. წიგნები და სურათები, აღუთქვა შემდეგში შეწირვა წიგნების.

სამკითხველოს შესწირეს აგრეთვე: ექვსი ცალი წიგნი წიგნების მკაზმავმა ურია მინოვიჩმა და დიმიტრი გაბუნიამ „ხენთი“. რამოდენიმე მან. წიგნების შეწირვა აღუთქვა სამკითხველოს გამგეს ვაჭარმა ძმ. მელაშვილებმა.

ამნაირათ ლაილაშის სამკითხველოს ახალი გამგის მეოხებით 100—150 ც. ქართული საკითხავი წიგნები მიუძღვნეს ქუთათურებმა რუსთველის სახელობის სამკითხველოს, რომელიც, როგორც გადმომცა მისმა გამგემ ძალიან ღარიბია წიგნებით; ჟურნალ-გაზეთებიდან კი ყველა ქართული გამოცემები მისდით და მათი მკითხველები დღიურათ 100—1500-დი, თურმე ადის. წიგნებზედაც მოთხოვნილება დიდია, დასძინა მან, მარა ამით ღარიბი ვართო.

ამნაირათ ლეჩხუმის შუაგულ დაბაში ერთ ჩვენ უდიდეს მგოსნის რუსთველის სახელობის სამკითხველოს კარგი და მკვიდრი ნიადაგი შეუქმნია ხალხის გათვითცნობიერების საქმეში და სწორეთ საჭიროა-ამგვარ სამკითხველოებს სოფლათ ქალაქებში უხვათ და ხშირათ გაიხსენებდენ მათ და წიგნებით, თუ პერიოდულ გამოცემებით დაეხმარებოდენ.

გარდა ზემო ჩამოთვლილ საჩუქრების სამკითხველოს გამგემ ლაილაშის ბიბლიოთეკას წაუღო მშვენიერ ყდებში გაკეთებული თხზულებანი ძვირფასი გამოცემა ი. ჭავჭავაძისა, ი. ჯავახიშვილის—საქართველოს ისტორია I და II, აკაკის ნაწერები I და II, ჩუბინაშვილის—ლექსიკონი, ერისთავის—სამშობლო, ჰალა დიდელის ლექსები, რუსთველის—ვეფხის-ტყაოსანი, ვ. რუხაძის—ლექსები და სხ. სულ 30 მ. წიგნები, რომლებიც შესწირა სამკითხველოს ლაილაშის საზოგადოებამ სამკითხველოს ახლანდელ გამგის კაჭკაჭოვის ძმის. . . . . სახსოვრათ, რომელიც შარშან ტრაღიკულათ უდანაშაულოთ მოკლა ერთმა მისმა მახლობელმა. ლაილაშის საზოგადოებამ თავის კეთილ-მოსიამე წევრის სამახსოვროთ გვირგვინის ნაცვლათ ფული შესწირა სამკითხველოს, რომლის გამგეობამ გარდაცვლილის სამახსოვროთ 30 მან. წიგნების შეძენა გადაწყვიტა და ყველა ეს წიგნები ვარაყის ასოებით ზედწარწერილი იქნება შვენება რუსთველის ბიბლიოთეკისა სოფლად.

**ისო.**

## ტუსაღის წერილი.

**(შთაბეჭდილებანი).**

სამიწლით საზოგადოებიდან განდევნილს, თუმცა სამშობლოშივე მყოფს, ამ დღეებში მომეცა იშვიათი შემთხვევა ზოგი რამ წამეკითხა. ჩვენის მწერლობიდან. სხვათა შორის წავიკითხე ბ-ნი რობაქიძის ახალი ლექსი „კოცონი“-ც.

წავიკითხე აგრეთვე ამით გამოწვეული დ. კასრაძის კრიტიკა და ბუნდოვანი შენიშვნა ი. გედევანიშვილისა.

ბ-ნი რობაქიძე სარგებლობს დ. კასრაძის შენიშვნით და რიხიანათ გვპირდება კასრაძის სრულ დამარცხებას და „კოცონის“ ქართულ პოეზიაში ეპოქათ დამკვიდრებას, რაც მომავალის საქმეა!

ბ-ნი კასრაძე, ამტკიცებს რა „კოცონის“ გარეგან ბრწყინვალე ფორმებს, როგორც პირველ შთაბეჭდილების შედეგს, დაკვირვების შემდეგ ამოწმებს, ამ ფორმათა სრულ შეუსაბამობას. მაგ.: „მთვარე მიხმობს მზეს უმზირას სქელ ფოთლიან მუხის ძირას“ არ შეეფერება სინამდვილესო. მთვარის შუქი სქელფოთლიანი მუხის ძირში და მის ჩრდილში მართლაც ვერ მოხერხდება!

ასეთი მაგალითებით ბ. კასრაძე ამტკიცებს, რომ რობაქიძემ ამ ლექსით, ნამდვილი ოქროს მაგიერ, მიშურა და ბუტაფორა მოგვაწოდაო.

გედევანიშვილი აღიარებს კასრაძის კომპეტენციას პოეზიაში და შენიშნავს, რომ ამ ლექსში მაინც არის „რაღაცა, რაც სხვა ფიქრზე გვაყენებსო“.

ეს გაურკვეველი შენიშვნა ბ. რობაქიძეს თავისებურათ ესმის. ჩემში კი შეურყეველ რწმენას იწვევს „კოცონის“ უვარგისობაზე.

ყველა დამეთანხმება, რომ პოეზიისა და საზოგადოთ, ყველა ხელოვნების ნაყოფი იმდენათ მაღლა დგას, რამდენათაც მისგან გამოწვეული აზრთა ასოციაცია სინამდვილეს არ ღალატობს და თვალწინ გვიყენებს მართალს, ახალ-გაზდურს და ჯანმრთელ სულის კვეთებას.

თუ „კოცონს“ ამ მხრივ გავსინჯავთ, აუცილებლათ შემდეგს დავინახავთ: ქალი—მზისუმზირა ეუბნევა მზე-ვაჟს წამო სქელ ფოთლიან მუხის ძირასო; (ვერ გამიგია რატომ სქელ ფოთლიან და არა ხშირ ფოთლიან!) იქ განახვებ ჩემი ტანის თეთრ ჩქერას და იქ ვიგიჟ-ვირაჟრაჟოთო.

მართალი უნდა ვსთქვა ჩემი ქართველური ბუნება ვერ შეურიგდება იმ აზრს, რომ ქალი, პაეროვანი მზის უმზირა, ვინც ჩემი წარმოდგენით, მხოლოდ და მხოლოდ ძვირფასია თავისი კდემა მოსილობით; ვინც, პოეტის არ იყოს, იწვევს ჩვენში უძლეველ სურვილს ალისფერ ტუჩებზე დაკონებისას, მაგრამ მისი სიწმინდით ჩვენ ეს ვერ გაგვიბედავს, პირდაპირ აძლევს ვაჟს წინადადებას:—„წამო მუხის ძირას ვიგიჟ-ვირაჟრაჟოთ! იქ ნამდვილ კოცონს გაჩვენებ. იქ შქერი იწვისო!“

ეს კიდევ ცოტაა, ჩავყვეთ ქვევით, როცა პირუტყვულ სურვილს აღწევს და ჟინს იკლავს, დემონისებურათ დახარხარებს ვაჟს თავს და ეცინის: „აწი სხვებთან ველარ ირიჟრაჟებ, შენი ძალა ისე ადრე დაიცალა, რომ სიგიჟეც არ მაცალაო!

მეტის მეტია ყველა ეს! ვრწმუნდები, რომ იქ მართლა იწვის, მაგრამ არა ამაყი მთის შქერი, არამედ უბრალო ნაგავი, რომლის მახრჩობელა და არა მათრობელა კვამლი სრულებით შეუსაბამოა პარნასებზე განებივრებულ პოეზიის ღმერთებისათვის.

გამოუსადეგარია ასეთი „კოცონი“ ჩვენდა ასამაღლებლათ.

დიდი სიფრთხილე გვჭირია, რომ კიდევ ქვევით არ გავყვეთ ბ-ნ რობაქიძის მიერ სანაქებოთ აღიარებულ ასეთ არსებას! თორემ თქვენი მტერია, შიგ პორნოგრაფიულ მორევში გადაგვისვრის და თვით ლესბოსისკენ ძულზედაც? თავს ამოგვაყოფინებს.

იქ მართლა კოცონია, მაგრამ არა კდემა მოსილობით გამშვენიერებული ახალგაზრდა ჯანმრთელი მისწრაფება ბუნების ამ უდიადესის აქტისადმი, არამედ ხან გადასულ სქესთა ფსიხოზით ავათმყოფი დედაკაცის, რომელიც ასე საშინლათ დახითხითებს თავის მსხვერპლ მზე ვაჟს და თან დასცინის: „მუხის ძალა უდროოთ ჩაიშალა-ჩაიშალაო“.

ასეთია ჩემთვის, და მგონია მრავალთათვის, მთელი ემოცია ამ ლექსისა და აქ არ შემიძლია არ წამოვიძახო ლათინური ანდაზა O temporas, o mores! (ვაი, დროებავ, ვაი ზნე-ჩვეულებავ!)

**ტუსაღი.**

## სია.

(შემდეგი იხილე „სამშობლო“-ს 34-ე №.)

1915 წლის 3 მარტს ქარვასლის ქუჩაზე მოვაჭრეთა შორის (თეთრ ხიდამდი) ჩამოვიარეთ და საწევრო ფული 1914 წლისა შემოიტანეს;

ნოე თომასძე რუსაძემ, ივანე ტიტის ძემ ხაინდრავამ, კონსტანტინე ფარნაოზ. დორთქიფანიძემ, ლევან რევაზის ძემ კირვალიძემ, ნიკიფორე ამირანის ძემ ღოღობერიძემ, ილია გიორგის ძემ მარდალეიშვილმა, სერაპიონ დავითის ძემ ღოღობერიძემ, ვასილ თევდორეს ძემ კორძაძემ, ვარლამ პორფილეს ძემ ობოლაძემ, ლუარსაბ ნიკოლოზის ძემ კაპანაძემ, ივლიანე თეიმურაზის ძემ გაბუნიამ, ივანე იოსების ძემ დვალმა ერთდროულათ შემოსწირა: გიორგი სიკოს ძემ ჭოლოშვილმა ორი (2) მანეთი. სულ შემოვიდა თვრამეტი მანეთი (38 მან.)

—

1915 წლის 6 მარტს ჩაეწერენ წ.-კ. საზოგადოების ქუთაისის განყოფილების წევრებათ და ფულიც გადაიხადეს, პუშკინის ქუჩაზე მოვაჭრეებმა:

ალექსანდრე ივანეს ძე ჭეიშვილი, ივანე ლუკას ძე მემარიაშვილი, ედუარდ ზაქარიას ძე საკაშვილი, პეტრე ზაქარიას ძე საკაშვილი, პლატონ დიმიტრის ძე ვაჩაძე, ეროდე ივლიანეს ძე ტყეშელაშვილი, ლუკა მახარობლის ძე მგალობლიშვილი, გრიგოლ სიმონის ძე გაბუნია, ილია სპირიდონის ძე ჭეიშვილი, სოლოვან დიმიტრის ძე ქასრაშვილი, იოსებ მაქსიმეს ძე ხელაძე.

მ. დიდიძის ქარხანაში მოსამსახურენი: გიორგი დიმიტრის ძე ტეხვაია, ვასილ კონსტანტინეს ძე აბდალაძე, სერგო მიხეილის ძე აბდალაძე, პორფილე ონისიმეს ძე ვაწაძე, ასლან ვასილის ძე ტყეშელაშვილი, ზაქარია თომას ძე ეურდგელაშვილი.

**სილოვან ხუნდაძე.**

## ჩვენი ფოსტა:

ყი—ანს თქვენი ლექსი „გაზაფხული“ არ დაიბეჭდება. გედიარ-ლის თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება. გ. კაპ—ძეს თქვენი ლექსი „მოკვდა მგოსანი“ არ დაიბეჭდება. კ. ქ —შვილს თქვენი ლექსი „ბნელა იყო“ არ დაიბეჭდება. ი. ჯიხაშვილს თქვენი „სამშობლო“ არ დაიბეჭდება. ლად—შვილს თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება. ტალღას—თქვენი ლექსები არ დაიბეჭდება. მეთვალყურე ქალს—თქვენი ლექსი არ დაიბეჭდება.


## ამერიკული მწარე ვაზი (rupestris)

მშრალ მიწაზე გაზდილი, იყიდება ზომიერ ფასათ, იკითხეთ კ. ოცხელის წიგნის მაღაზიაში ქუთაისში. თ.

| თ. ა. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიის საკუთარი გამოცემანი. | აქვე იმყოფება საწყობი შემდეგი წიგნებისა. |
| --- | --- |
| 1) ნ. ნიკოლაძე. მამულის სიყვარული და მსახურება. . 20 კაპ. | 1) გუთანი, ოჯახსა და სკოლებში საკით. წიგ. შედ. ი. ოცხელისა. თ. მთავრიშვილისა და ს. ყიფ. მიერ, სურ., მესამე გამ., ყდით 85 კ. |
| 2) დ. კარიჭაშვილი. ხუცური ანბანი, მეორე გამოც. . 20 კაპ. | 2) ს. ხუნდაძე. ქარ. გრამატიკა პირველდაწყ. შკოლებ. ყდით 20 კ. |
| 3) მღ. პ. ცქიტიშვილი. ლოცვანი, პირველდაწყებითი სკოლებისათვის ფ. 10 კ., ყდით . . 15 კაპ. | 3) ს. რობაქიძე. სამშობლოს აღწერა, საქართ. გეოგრაფიის სახელმძღვანელო, ყდით . 50 კ. |
| 4) ქართ. მოძრავი ანბ. ქაღ. 10 კაპ. „იგივე, კარდონზე გაკრული 25 კაპ. „იგივე ორ და სამ-კომპლექ. 50 კაპ. | 4) არქ. ნესტორი (ყუბანეიშვილი) პირველდაწყებ. დარიგება სჯულის სწავლებაზე . 30 კ. |
| 5) ს. ყიფიანი, შაქარას ნაამბ. 3 კაპ. | 5) ა. ხახანაშვილი. ბატონ-ყმობა საქართველოში . 50 კ. |
| 6) Архим. Несторъ. Учебникъ Закона божія . . 20 კ. | 6) კ. აბაშიძე. ეტიუდები მე XIX ს. ქ. ლიტერატურა შესახებ ტ. I. 70 კ. |
| 7) ს. გორგაძე. საქართვ. ისტორია ნ. I ისტორიული ქარტით., მეორე გამოცემა . , . 35 კაპ. | 7) მისივე. იგივე ტ. II.. 70 კ. |
| 8 ალ. გარსევანიშვილის თხზულება | 8) ი. შექსპირი. ოტელო, ჰამლეტი და მეფე ციმბელინი ყრმათათვის ნათარგმნი ს. ყიფიანისა . 20 კ. |
| 9) „Поэтъ Грузіи Акакій“ 10 კ. | 9) მღ. ა. გერსამია. ლოცვანი, ფ. 10 კ., . . 15 კ. |
| 10) ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. | 10) ა. ჭიჭინაძე. პირველდაწყ. ცოდნა გეოგრაფიისა ფ. 50 კ., ყ. 60 კ. |
| | 11) ნ. ნიკ ჩემ პოლიტიკაზე 10 კ. |
| | რუსული და ქართული კატალოგები მსურველთ უფასოთ ეგზავნებათ. |

სპეციალური სახელოსნო
## პარმენ ამაღლობელის
(ქუთაისი, ქარვასლის ქუჩა).



ფეხსაცმელები ევრ. და აზიური, როგორც კაცის, ისე ქალის. სახლში სახმარებელი ჩუსტები კაცის, ქალის და ბავშვების რუსული და ბუხრის ქუდები საუკეთესო კარაკულისა.



ფასები სხვებთან შედარებით დაკლებულია.

## ძმ. ყორყოლაშის მაღაზიაში

ქუთაისში, მიხეილის ქუჩა, საკუთ. სახლი.

**მიღებულია** საპნის საკეთებელი სოდა ბორჯომის წყალი. საუკეთესო ფირმების სხვადასხვა ცნობილი **აბრეშუმის თესლი.**

ვენახის ასაკრავი რაფია „ვერმორელის“ ქარხნის სარწყავი მანქანები. და მისი ყოველივე ნაწილები, აგრეთვე ყოველგვარი ბაკალიური საქონლები.

ფასები ზომიერია.

მოიკითხეთ ყველგან

## ახალი ქართლი

გამოდის ქ. გორში, კვირაში ორჯერ ხუთშაბათობით და კვირაობით

ცალკე ნუმერი ერთი შაური

| დაკვეთის ფასი: | 1 წლით | 6 თვით | 3 თვით | 1 თვით |
| --- | --- | --- | --- | --- |
| | 5 მან. | 3 მან. | 1 მ. 50 კ. | 50 კ. |

ხელის მოწერა მიიღება: „ახალი ქართლი“-ს კანტორაში, სამეფო ქუჩა № 15. თფილისში, ივ. ავალიშვილთან, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მაღაზიაში და გაზეთის თფილისელ აგენტთან, ვიქტორ მექანარიშვილთან, დუშეთის ქ. № 21.

**მიიღება ხელის მოწერა 1915 წ. ყოველკვირეულ სალიტერატურო, სახელოვნო და საზოგადოებრივ ჟურნალ**

## „თეატრი და ცხოვრება“-ზე.

ჩვეულებრივის პროგრამით ივ. გომართელისა და იოს. იმედაშვილის რედაქციით ფასი: წლით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კაპ. ფულის შემოტანა ნაწილნაწილადაც შეიძლება: ხელის მოწერის დროს 2 მ., მარტის გასვლამდე 2 მ., დანარჩენი 1 მ. ენკენისთვის 1.

ხელისმოწერა მიიღება: რედაქციაში („სორაპანი“-ს სტამბაში) დილით 9—2 ს., საღამოთი 5—7 ს., ჟურნალ-გაზეთების კანტორა „განთიად“-ში, „ცოდნას“ წიგნთსავაჭროში, რკინის გზის სახელოსნოში—ალ. ძაძამიასთან.

მიიღება განცხადებანი ჟურნალში დასაბეჭდათ ფული და ყოველგვარი მასალა უნდა გამოიგზავნოს იოს. იმედაშვილის სახელზე. ფოსტის მისამართი: Тифлисъ, Ред. „Театри да цховреба“ Іосифу Имедашвили

რედაქტორ გამომცემელი **ანნა იმედაშვილისა**